ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-10/01170131085-17

"07." 02. 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა №6–ში (ნაკვ№8/53) (საკ. კოდი №01.14.06.008.138) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტომობილების სერვისცენტრი, სამრეცხაოები და გაზგასამართი სადგური) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2985666 20.12.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა №6–ში (ნაკვ№8/53) (საკ. კოდი №01.14.06.008.138) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-პ" ფასადი: „ა-გ" მონაკვეთში კედელი შესალებია. „გ-გ" ღერძთან მოწყობილია საჰაერო მილები და კონდიციონერი. „გ-ო" მონაკვეთში კედელი შესალესი და შესალებია. „ო"-პ" მონაკვეთში გაუქმებულია ცხაურები და შეცვლილია გადახურვის ძირის ფორმა. „პ-პ" ღერძის მიმდებარედ მოწყობილია ლითონის დგარები.

„6-1" ფასადი: „6-6" ღერძთან მოწყობილია სარეკლამო აბრა.

„პ-ი" ფასადი: დაცვის ჯიხურს და მოსაცდელს შორის მოწყობილია კონდიციონერები.

ფასადებზე სარეკლამო აბრების მოწყობა არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს.

შემცირებულია კაფეს გაბარიტი და ფართი, რის გამოც გაზრდილია სამრეცხაოს გაბარიტი ფართი. „პ-პ" ღერძზე „5"" ღერძის მიმდებარედ მოწყობილია ფანჯარა. „2-3" ო-პ" მონაკვეთში მოწყობილია ლითონის სვეტები. მოსაცდელის და დაცვის ჯიხურის გადახურვები გაერთიანებულია, მათ შორის მოწყობილია სენდვიჩპანელები, რის გამოც გაზრდილია მოსაცდელის გაბარიტი.

ოფისის გადახურვაზე არ არის მოჭრილი არმატურის ნაშვერები.

ტერიტორიაზე შემცირებულია გამწვანების ფართი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ველო გაზ+"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა №6–ში (ნაკვ№8/53) (საკ. კოდი №01.14.06.008.138) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტომობილების სერვისცენტრი, სამრეცხაოები და გაზგასამართი სადგური) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01170131085-17 13.01.2017წ.
№10/01170171340-17 17.01.2017წ. და
№10/01170242353-17 24.01.2017წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**